ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01/10/63

ქ. თბილისი **26 ივნისი, 2015 წ**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"** მისი დირექტორის, თემურ თორდინავას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29-29ა, ს/კ 404905475, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „მუხიანი"** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის შმაგი სირაძის სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, კორპორაცია „ლეგია და კომპანიას" მიმდებარედ; ს/კ 400112668, სს „საქართველოს ბანკი", კოდი # BAGAGE22, ა/ა GE18BG0000000849387000

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით **ელექტრომოწყობილობების (CPV31600000)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (ს[1]) ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 ხელშეკრულების ობიექტის ჩამონათვალი, რაოდენობა, აღწერილობა, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **90,50 (ოთხმოცდაათი ლარი და 50 თეთრი) ლარი** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების (დ.ღ.გ და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, მაკარ მაკარიძე.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ თბილისი, მიცკევიჩის ქ.N29-29ა, მე-3 სართული.

4.3 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

5.2 საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან").

5.3. ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.N29-29ა, მე-3 სართული.

5.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ლექსო თოდუა.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 გაუწიოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2015 წლის 1 სექტემბრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; ორი ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“	„მიმწოდებელი“ შპს „მუხიანი“
თემურ თორდინავა დირექტორი	შმაგი სირაძე დირექტორი

დანართი #1

2015 წლის 26 ივნისის #01/10/63 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება და ძირითადი მახასიათებლები	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	316 51000	საიზოლაციო ლენტა	ცალი	4	1.50	6.00
2	316 12000	ელ.სადენის სამაგრი #5	ყუთი	1	5.00	5.00
3	316 12000	ელ.სადენის სამაგრი #4	ყუთი	1	4.00	4.00
4	316 12000	ელ.სადენის სამაგრი #3	ყუთი	1	3.00	3.00
5	316 81410	სადენი CYKYLO-U 2x2.5	მეტრი	30	1.50	45.00
6	316 81410	ელ.ჩანგალი	ცალი	5	2.50	12.50
7	316 81410	სადენის ჩანგალი	ცალი	5	3.00	15.00
					ჯამი:	**90.50**

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"

მიმწოდებელი:

შპს „მუხიანი"

თემურ თორდინავა

შმაგი სირაძე